გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მაპროვოცირებელ ლანდშაფტურ ფაქტორთა კორელაციური ანალიზი (აჭარის მაგალითზე)

ხვიჩა ბერიძე

ელ-ფოსტა: khvicha.beridze954@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი.ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179,საქართველო

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო რამდენიმე ათწლეულში, მედიცინა განვითარების პიკს აღწევს და დღეს თითქმის ყველა დაავადების განკურნებაა შესაძლებელი, დაავადებულ ადამიანთა რიცხვი, მაინც, სწრაფი ტემპით იზრდება - მეტიც, თავს იჩენს ახალი დაავადებები, რომლებიც გეოგრაფიულ გარემოზე ანთროპოგენური ზემოქმედების გამო დღითიდღე მასშტაბურ სახეს იღებს.

დაავადებულ ადამიანთა რაოდენობის ზრდაზე დიდ გავლენას ახდენს გარემოს (ლანდშაფტის) ეკოლოგიური მდგომარეობაც. ბოლო საუკუნეში ეკოლოგიური პრობლემები კატასტროფულად გაიზარდა, დაბინძურებულია ჰაერი, ნიადაგი, წყალი და საკვები. დიდ ქალაქებში ხშირია ხმაურით დაბინძურება, სტრესი, რადიაცია და ა.შ. რაც უამრავი დაავადების მაპროვოცირებელია.

ნაშრომის მიზანია აჭარაში გულ-სისხლძარღვთა დაავადებებზე გარემოს (ლანდშაფტის) როლის განსაზღვრა.

გარემოს მავნე ფაქტორების შესწავლის ანალიზმა როგორც მთელს მსოფლიოში, ისე მსხვილ ინდუსტრიულ ქვეყნებში, აჩვენა, რომ ეკოლოგიური დესტაბილიზაციის ძირითადი ტენდენციები გრძელდება და იზრდება. ეროვნული, რეგიონული პროგრამები, ეკოლოგიური კონვენციები და კანონები მოწოდებულია, რათა დაინერგოს შედარებით ეფექტური რესურსი და ენერგიადა სასარგებლო ტექნოლოგიები. მრავალმილიონიანი გამწმენდი მოწყობილობები და სხვა მცდელობები ვერ ცვლის ამ ტენდენციას და ვერც ამცირებს ზრდის ტემპს. ეს ნიშნავს, რომ იზრდება ადამიანის სიცოცხლისათვის, მისი ჯანმრთელობისა და არსებობის რისკი. ამიტომაც, ამ პრობლემის აქტუალობა დღითიდღე იზრდება.